სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

48681955281919

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190218416

რეგისტრაციის თარიღი

28.02.2019 წ

ნოტარიუსი: დავით იმნაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 49
ტელეფონი: +995 032 2477879

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდარვა თებერვალს, მე, საქართველოს ნოტარიუსს **დავით იმნაძეს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.№49,* მომმართა: **შ.პ.ს. „ნატა“-ს** დირექტორმა **თამარ გვინჩიძემ** *(ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 03.10.2017წ. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B17109284,** საიდენტიფიკაციო №206264521)* და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **შ.პ.ს. „ნატა“-ს** დირექტორმა **თამარ გვინჩიძემ** *(დაბ.30.04.1961წ. ქუთაისში, პ№01010011223, მის.თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა,62, ბინა12)* მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **შ.პ.ს. „ნატა“-ს** დირექტორმა **თამარ გვინჩიძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

<u>„მინდობილობის გამცემი“:</u>

– შ.პ.ს. „ნატა“-ს *(ს/კ№206264521)* დირექტორი **თამარ გვინჩიძე** *(დაბ.30.04.1961წ. ქუთაისში, პ№01010011223, მის. თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, 62, ბინა12)*

<u>„მინდობილობის მიმღებ“-ს:</u>

ლევან ჩლაიძეს *(დაბ. 28.09.1955წ. თბილისში, პ№01026017136, მის: ქ. თბილისი, ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქ.11 ბ.64)*

<u>ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:</u>

- იყოს **<u>„მინდობილობის გამცემი”-ს</u>** წარმომადგენელი *ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკრებულოში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში,ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებმისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, ა ზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.*
- მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *ქართულ ენაზე* სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის **დავით იმნაძის** სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა **„მინდობილობის გამცემს“.**

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს*

ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: (1,80) ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ (13,80) ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

მინდობილობის გამცემი
შ.პ.ს. „ნატა“-ს *(ს/კ№206264521)* დირექტორი

თამარ გვინჩიძე

ნოტარიუსი დ. იმნაძე